მემორანდუმი

ონის მუნიციპალიტეტის, საქველმოქმედო ფონდის ,,აი ია"-სა და ქართულ-გერმანული მუსიკის თერაპიის ცენტრის ,,ბეკარი"-ს თანამშრომლობის შესახებ

1. მხარეები:

ქვემოთ ხელის მომწერნი (შემდეგში მხარეებად წოდებული) ონის მუნიციპალიტეტი, საქველმოქმედო ფონდი აი ია, ქართულ-გერმანული მუსიკის თერაპიის ცენტრი ,,ბეკარი"

- ვაცნობიერებთ რა, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული;
- ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია ოჯახებისთვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- მიგვაჩნია, რომ სოციალური მომსახურებების ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა მდგრადად განვითარებადი ინფრასტრუქტურისა და პროფესიონალთა არსებობა.

2. მემორანდუმის მიზანია:

ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება შშმ პირთა მხარდამჭერი სერვისების ჩამოყალიბების მიზნით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობები:

ა) შშმ ბავშვის ოჯახთა საკონცულტაციო საათებისა და ვორკშოპების ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება;
ბ) საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე სპეციალისტების გაძლიერებაზე მიმართული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
გ) სპეციალისტთა გაძლიერებაზე და კომპეტენციების გაუმჯობესებაზე მიმართული ერთობლივი ღონისძიებების/ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

ა) მხარეები ყოველ მხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს;
ბ) მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რათა მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისთვის და ცალკეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყონ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/თანამშრომლები.

6. კონფიდენციალური პირობები:

მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე მემორანდუმით

განსაზღვრული პირობების გაცნობა მესამე პირისათვის, მემორანდუმის ხელმომწერთა წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მემორანდუმის პირობების შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული (მათ შორის მესამე პირთა წინაშე) პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მხარეს, რომლის მიზეზითაც მოხდა ინფორმაციის გამჟღავნება;
ბ) მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია მემორანდუმის შეწყვეტის შემდგომაც.

7. მემორანდუმის ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა.
ა) მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
ბ) მემორანდუმი მოქმედებს ხელმოწერიდან განუსაზღვრელი ვადით;
გ) მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის ინიციატივით, წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ონის მუნიციპალიტეტის
მერი სერგო ხიდეშელი

საქველმოქმედო ფონდი აი ია

ქართულ-გერმანული მუსიკის
თერაპიის ცენტრი „ბეკარი“